ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 47 12 21/10/2015

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ოქტომბრის #43 12 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-61 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად და ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 21 ოქტომბრის #1750/11 მომართვის საფუძველზე

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ოქტომბრის #43 12 განკარგულებაში ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმიდან ,,გამარტივებულ შესყიდვებზე“ ნებართვის გაცემის შესახებ“ და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მიეცეს ნებართვა ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ამავე მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმიდან, გამარტივებულ შესყიდვებზე, კერძოდ:
- ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბა ასპინძაში შიდა ქუჩების სარეაბილიტაციო(მეორე ეტაპი მოასფალტების) და სოფლებში: ოთაში და სოფელ ნაქალაქევში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო (მოასფალტება) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და საექსპერტო დასკვნის მომზადებისათვის- 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარზე;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში მესხური ფოლკლორის ფესტივალის ორგანიზებისათვის კერძოდ:
- საწვავის შესყიდვა-700 (შვიდასი) ლარზე;
- თხევადი აირის (პროპანის) შესყიდვა -100 (ასი) ლარზე.“.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გამგებელი ლ. ცაბაძე);

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. #62).

მამუკა მელიქიძე

საკრებულოს თავმჯდომარე